# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 670

დამატების № 120

კვირა, 11 სექტემბერი 1916 წ.




ავადმყოფი გ. ზდანოვიჩი.

## განშორებისას

რო ვშორდებოდი სამშობლოს კვნესით,
მზე დასავლეთში ნელ-ნელ ჰქრებოდა
და ჩემ თვალთაგან, ვით ღამის ბნელ ცით,
მრავალი ცრემლი გამოსხდებოდა.
ვშორდებოდი და სევდათა გველი
ჩემს მომავალ დღეთ ინაწილებდა,
რომ ყველას ჰყვანდა გამცილებელი
და მე კი არვინ არ მაცილებდა.
ესლა ვსთქვი: რაღა მემზეოს გულსა,
ვისთან და სადღა ვიპოვო ბინა,
თუ სამშობლოს ყმას და მოყვარულსა
აღარ მიმიძღვის მის ტრფობა წინა?!

მოსკოვი 1916 წ. 29 აგვისტო. ი. მჭედლიშვილი.

## განწირულნი

(Notati homines)

დრამა 4 მოქმედებად

(შემდეგი *)

**შალვა.** დიახ! მხატვარს როცა სურათს შეკვეთით ახატვინებენ, მაშინ მისი შემოქმედება, თავისუფლად ვერ შლის ფრთას, ამ შემთხვევაშიც უნდა შევბორკო თქვენი ფანტაზია, მე უნდა ავამუშაო თქვენი მარჯვენა. ღირს კი ბ. გიორგი, რომ მთელი თქვენი ნიჭი, ხელოვნება და ხერხი გამოიჩინოთ. თუ კი თქვენ, ისეთ სურათს დამიხატავთ, როგორიც მე მინდა, რასაც მოითხოვთ საფასურად— მიიღებთ. ამაში არ დამზოგოთ, არც შემიბრალოთ. შეძლებული კაცი ვარ და რამდენიმე ათასიც კი თავისუფლად შემიძლიან გავიღო, თქვენი ნიჭის დასაჯილდოებლად.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 119.

**გიორგი.** ვეცდები ბ. შალვა, თქვენი სურვილი და გემოვნება დავაკმაყოფილო. რაც შემეძლება არ დავზოგავ! ფასს მხოლოდ მაშინ მოგთხოვთ, როცა დავალებულს ავასრულებ. ახლა შინაარსზე მოვილაპარაკოთ.

**შალვა.** (მიიხედ-მოიხედავს) ერთი პირობა ბ. გიორგი.

**გიორგი.** ორიც იყოს, თუ საჭიროა.

**შალვა.** არავინ უნდა იცოდეს რას ხატავთ! არავინ ბ. გიორგი... ის სურათი, ერთ ვისმე საჩუქრად მინდა მივართვა და დრომდე არ უნდა გაიგოს. ასეთი პირობა აუცილებელია, თორემ გეგმა სრულიად ჩამეფუშება. მომცემთ ამის პირობას?

**გიორგი.** ძლიერ ადვილი საქმეა.

**შალვა.** არავინ, სრულიად. ბ. ვახტანგმაც კი?!

**გიორგი.** არც თქვენ, თუ გნებავთ.

**შალვა.** კეთილი. (ამოიღებს კონვერტს და იქიდან სურათს) აი ბ. გიორგი: ეს სურათი იქნება თქვენი სურათის უმთავრესი ღერძი. (გიორგი ათვალიერებს სურათს).

**გიორგი.** რა ლამაზი ქალია! ვინ არის?

**შალვა.** ყველაფერს თავის დროზე გაიგებთ. ცოტა შორიდან უნდა დავიწყო და ნუ გამიწყრებით: ერთი ახალგაზდა კაცი, ამ ქალს სწორედ იმ ხანებში გაეცნო, როცა საერთო აღფრთოვანება, ყოველგვარ ფანტაზიას თამამად აშლევინებდა ფრთას. მე მოგახსენებთ მოძრაობაზე. ის ახალგაზრდა დიდ მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ გამოსვლაში, ორგანიზაციებში და ამ ნიადაგზე დაუახლოვდა, როგორც მოგახსენეთ, ამ ქალს. მათ შეუყვარდათ ერთმანეთი (აღელვებული) იმავე წრეში მუშაობდა მეორე ახალგაზრდა, ძლიერ ნიჭიერი, მცოდნე და ჩვენ ყველა მაზე დიდს იმედებს ვამყარებდით. ის იყო ჩვენი იარაღი, თან საუკეთესო იარაღი, მოპირდაპირეთა დასამარცხებლად. ისინი ყოველთვის ერიდებოდნენ მასთან შეტაკებას. გარეგნობითაც ახოვანი, ლამაზი... ერთის სიტყვით ბუნებას ყოვლის მხრით დაეჯილდოებინა, თავისი გალაღებული შვილი.

**გიორგი.** ახლა ნამდვილად რომანი დაიწყება...

**შალვა.** რომელიც ორი ადამიანისათვის, ძლიერ სამწუხაროდ დასრულდება... თქვენ სწორედ მიხვდით იგი შეუჩნდა ამ ქალს (მიუთითებს სურათს) და დღე და ღამ ერთსა და იმავეს ჩასჩურჩულებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალ. ციციშვილის საფლავი შორეულ ციმბირში.
(იხ. წერილი დღევ. გაზეთში).

და. ქალის შეცდენა. ძლიერ ადვილი საქმე, ეს თქვენც მოგეხსენებათ, და იმანაც მოახერხა, მხოლოდ ძლიერ ბინძური საშუალებით. უკვე ვსთქვი, რომ ქალს ჯერ სხვა უყვარდა, მაგრამ ახალმა გრძნობამ თანდათან დაჩრდილა ძველი სიყვარული; მხოლოდ შიში და მორიდება კიდევ აკავებდა და აი მაშინ, რომ ქალს სრულიად თავისუფლად ეგრძნო თავი, გასცა მეტოქე. სხვათა შორის ეს გარემოებაც საიდუმლოა. (შალვა აღელვებულია).

**გიორგი.** ა-ა! მართლაც რომ... თქვენ რა გემართებათ?

**შალვა.** (დგება. თავს ძალას ატანს) არაფერი: ის ორი არსება ჩემი ძლიერ მახლობელი იყო და გულგრილად ვერ მომიგონებია მათი ბედი. დიახ, ბ. გიორგი! მეტოქე მოიშორეს და მერე მცირედი დაბრკოლებაც გაქრა. გავიდა ხანი. იმ ახალგაზრდამ თავი მიანება საბრალო ქალს, რომელიც შემდეგ ღამის პეპელად გამხდარიყო. პირველმა სატრფომ ამასობაში მოიხადა დანაშაული და დაბრუნდა. ერთხელ, უცაბედად შეხვდა იგი იმ ქალს... ქუჩაში, ღამით... როცა გამვლელთ სთავაზობდა თავის სარეცელს... ადვილად წარმოიდგენთ იმ სურათს...

**გიორგი.** დიახ, დიახ!

**შალვა.** მეორე დღეს საბრალო ქალი დამხრჩვალი იპოვეს. (პაუზა) ამ მშვენიერი ქალის მოკლე ისტორია ეს არის.

**გიორგი.** ის ვაჟბატონი რა იქნა?

**შალვა.** ცოცხალია და ჯანმრთელი. იგი ახლა დიდი კაცია და ძლიერ სახელგანთქმული.

**გიორგი.** სახელგანთქმულიც? მე ვიცნობ ნამდვილად!?!

**შალვა.** ა-არ მგონია იქნებ გაგეგონოთ მისი სახელი, გენახოთ კიდეც, მაგრამ ცნობით არ იცნობთ... ეს ხომ სულ ერთია ბ. გიორგი. ახლა თქვენ ბ. მხატვარო, მე მინდა დამიხატოთ ის მომენტი, როცა ქუჩაში, ის ორი, უწინ ერთმანეთისათვის საყვარელი არსება შეხვდებიან უცაბედად. ქალს ამას დაამზგავსებთ და კაცს კი (იღებს მეორე სურათს) ამას.

**გიორგი.** (ართმევს.) ძალიან კარგი! თითქოს მეცნაურება ეს სახე! სხვათა შორის სურათი თქვენ გგავთ ძალიან.

**შალვა.** დიახ, მგავს და ეს არც გასაოცარია: რატომ არ უნდა გავდეს ძმა ძმას?!

**გიორგი.** თქვენი ძმა იყო?

**შალვა.** დიახ! ჩემი ძმა.

**გიორგი.** ცოცხალია?

**შალვა.** არა, ისიც მოკვდა!

**გიორგი.** საბრალონი: ძლიერ მატკინეთ გული ბ. შალვა.

**შალვა.** ძლიერ მიხარიან, რომ აგრე მოხდა. მაშ ახლა, იმედს ვიქონიებ, რომ თქვენ შესძლებთ ჩემი სურათის დახატვას. დამიხატავთ?

**გიორგი.** სიამოვნებით.

**შალვა.** რაც შეიძლება ჩქარა!

**გიორგი.** ახლა თავისუფალი ვარ სრულიად.

**შალვა.** ძლიერ სასიამოვნოა! ამასთან ნებას მივცემ ჩემს თავს, ის სურათი, რამდენიმე ხნით, გამოვფინო სადაც მე მინდა. ნებას დამრთავთ?

**გიორგი.** თქვენს საკუთრებას, თქვენი სურვილისამებრ მოექეცით.

**შალვა.** გმადლობთ, გმადლობთ (ამოიღებს საფულეს) ჯერ ეს ინებეთ: აქ ოცი თუმანია.

**გიორგი.** ახლა რათა? მერე, მერე იყოს. იქნებ სურათი არ მოგეწონოთ!

**შალვა.** მაშინ ეს ოცი თუმანი დაკარგულ დროს საფასურად დარჩება თქვენთან. (აძლევს) პირობები არ დაივიწყოთ.

**გიორგი** დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. (სცენისაკენ მოდიან: თამარი, ვახტანგი, ოთარი და მანუჩარი.)

**შალვა.** აქეთ მოდიან. შემოვლენ ყველანი.)

**თამარი.** თქვენ ისევ აქა ხართ?

**გიორგი.** როგორც თქვენი მშვენიერი თვალები გვხედავენ!

**შალვა.** დიახ, სულ აქ გახლდით.

**ოთარი.** (მიესალმება ორივეს) დარწმუნებული ვარ ხელოვნებაზე ლაპარაკობდით.

**მანუჩარი.** დარწმუნებული ვარ... მეც.

**შალვა.** სრული ჭეშმარიტებაა!

**ოთარი.** ვერ წარმოიდგენთ როგორ მიყვარს ახალგაზრდების ჭკვიანური ლაპარაკი: განსაკუთრებით ხელოვნებაზე. თქვენ, ჩემო მშვენიერო ჩიტო, რას იტყვით?

# შესანიშნავი შენობები



კორდოვის დიდი მეჩეთის შინაგნობა.

და ეთერს, მხედრის მკვლელობას.

— „მუჰამმადსა ვფიცავ, მე მისი მტერი არ ვყოფილვარ და

ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..

ს. ფაშალიშვილი.



პოლკოვნ. მინა თომას ძე როინიშვილი
(მოკლულია).



პრაპ. დათიკო დიმიტ. ბზიავა
(დაჭრილია).



პორუჩ. მიხეილ (მიშა) ალ. შავდია
(დაჭრილია).

**თამარი.** ჭკვიანური ლაპარაკი ბ. ოთარ, ყველას უყვარს.

**ოთარი.** ო-ო! ბევრს, ბევრს სძულს... გამოცდილებით ვიცი. არა მანუჩარ?

**მანუჩარი.** დიახ, დიახ! გამოცდილებით იცით... როგორ არა!

**ოთარი.** რა სიმპატიური ჯგუფი შესდგა: მუზა, მხატვარი, სულით მგოსანი, საზოგადო მოღვაწე და (შეხედავს შალვას).

**ვახტანგი.** ბეითალი. (საერთო სიცილი).

**შალვა.** რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყოველ საზოგადოებაში.

**ოთარი.** არ იწყინოთ ბ. შალვა! ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. (შალვას) თქვენ რომ ჩემს გაზეთში მიიღებდეთ მონაწილეობას.

**შალვა.** ნიჭია ამისათვის საჭირო ბ. ოთარ.

**ოთარი.** ო-ო-ო! რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა მაგრამ თქვენ როგორც ექიმს შეგეძლოთ რამდენიმე წერილი დაგებეჭდათ ჩვენს გაზეთში ჰიგიენიდან. ჩვენი ხალხი და მუშები განსაკუთრებით ისე ბინძურად ცხოვრობენ, რომ დიდი განსაცდელი შეიძლება მოჰყვეს. ჰიგიენის წერილებს კი დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. (ყველა ძალას ატანს თავს, რომ ყური უგდონ.) დიახ, დიახ! თქვენ (გიორგის) ჩვენო სახელოვანო მხატვირო: ისევ ხატავთ? (უცებ ვახტანგს) ხვალ თქვენი მეთაური იქნება?

**ვახტანგი.** (გულგრილად) უსათუოდ.

**ოთარი.** ისეთი შთამგონებელი გყოლიათ, რომ შეუძლებელია თქვენ რამე საუცხოვო არ დასწეროთ. მხოლოდ ერთი შემოხედვა მთელი პოემის შინაარსად გამოდგება.

**თამარი.** არ მივვარს ბ. ოთარ ასეთი ხუმრობა.

**ოთარი.** ბოდიშს ვიხდი.

**გიორგი.** ეს ერთი აპატიეთ, გაზეთის ბრალია!

**ოთარი.** მართალია, მართალი: სულ გაზეთი მელანდება. ჰო მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა?!! პირველ მაისს იმართება დიდი სეირნობა: (გიორგის) თქვენ უნდა დაამზადოთ სურათები ლატარიისათვის. დიახ, იმართება სეირნობა, ჩვენი განმანათლებელი საზოგადოების სასარგებლოდ. როგორ გგონიათ ვახტანგ, გაზეთში არაფერი უნდა მოთავსდეს ამის შესახებ? უსათუოდ, უსათუოდ. ჩემის აზრით ეს აუცილებელია იმედი მაქვს სეირნობაში, ყველა მიიღებთ მონაწილეობას.

**გიორგი.** რა თქმა უნდა!

**ოთარი.** დიდად მოხარული ვარ. თქვენი საქციელი საგაზეთოა. მე და ჩემმა ღმერთმა. მაგრამ თქვენი თანხმობა მარტო როდია საკმარისი. ახლა სხვები უნდა დავიყოლიო: განსაკუთრებით საჭიროა ლამაზი ქალები.

**გიორგი.** როგორც ყოველთვის და ყველაფერში.

**ოთარი.** დიახ, დიახ!—ამიტომაც მინდა მივმართო კიდევ ქ. ქეთოს და ნინოს. როგორ მოგწონთ ბატონებო?

**ყველა.** (შალვა უხმოდ დგას.) საუცხოვო აზრია. ჩინებულია.

**მანუჩ.** ჩინებულია.

**ოთარი.** ბატონებო! მეძნელება თქვენი მოშორება, მაგრამ მოვალეობა სიამოვნებაზე უფრო დიდია და ამიტომ ჯერჯერობით უნდა დავტოვოთ. ნახვამდის ბატონებო! (თამარს) ვალსი არ დაგავიწყდეთ.

**თამარი.** როცა გნებავთ.

**ოთარი.** გმადლობთ ჩემო კეთილო ანგელოზო (გადის, მანუჩარიც მისდევს.)

**გიორგი.** უჰ! მაწამა, მაწამა! (ოთარი მანუჩარით ისევ ბრუნდებიან).

**ოთარი.** კინაღამ დამავიწყდა: ბ. გიორგი, თქვენ სურათები! არ დაივიწყოთ. თქვენ კი (ვახტანგს). წერილი, უსათუოდ დასწერეთ წერილი.

**გიორგი.** }
**ვახტანგი.** } უსათუოდ იქნება.

**ოთარი.** მაშ, თქვენ იცით!.. მივდივარ: უჰ რა დავიღალე: (გადის).

**გიორგი.** ოღონდაც!

**თამარი.** (შალვას) თქვენ რატომ განზე გამდგარხართ? გაწუხებთ რამე?

# შესანიშნავი შენობები



უმთავრესი ფასადი სევილიის ალკაზარისა.



პრაპ. პავლე იოს. სუხიტაშვილი
(დაჭრილია).



პოდპ. გიორგი რაჟ. ნაფეტვარიძე
(დაჭრილია).



პრაპ. ლავრენტი ბარამ. ჯაფარიძე
(მოკლულია).

**შალვა.** სრულიად არაფერი!

**ვახტანგი.** ეჭვი მეპარება.

**შალვა.** ტყუილა: მე ყოველთვის მიყვარდა სიმართლის თქმა.

**გიორგი.** გიყვარდათ? მაშ ახლა?

**შალვა.** ახლა მით უმეტეს.

**ვახტანგი.** ყოველი პატიოსანი ადამიანის თვისებაა!

**შალვა.** (გესლიანად) მაშასადამე თქვენიც.

**ვახტანგი.** ოღონდაც!

**თამარი.** ბ. შალვა, თქვენ მჭრელი ენის პატრონი ყოფილხართ.

**შალვა.** ხე! ხე! ხე! ყველა მოუსვენარი ენის თვისებაა.

**ვახტანგი.** ხანდახან მეტიჩრობაც.

**შალვა.** ზოგჯერ ესეც საჭიროა. (შემოდის ოთარი და მანუჩარი).

**ოთარი.** მომილოცეთ, ყველაფერი მოეწყო.

**გიორგი.** მოგვილოცავს.

**ოთარი.** ახლა მხოლოდ რეკლამაა საჭირო და ამასაც ხვალიდან შეუდგებით. ჩემს გაზეთში დიდი ადგილი ექნება დათმობილი, საღამოს მოწყობას. ოღონდ ჩაივლიდეს კარგად და მეტი არაფერი მინდა.

**მანუჩ.** უსათუოდ, რეკლამა უსათუოდ საჭიროა. (იწყება მუსიკა).

**ოთარი,** (თამარს) ჩვენი პირობა.

**თამარი.** მზათა ვარ.

**ოთარი.** თქვენი ხელი! (თამარი გაუყრის ხელს და მიდიან).

**გიორგი.** მეც უნდა მივბაძო თქვენს მაგალითს, თორემ ძვირფასი დრო მეკარგება.

**ვახტანგი.** რასაკვირველია ქეთოსთან ეცდები დაკარგულ დროს დაბრუნებას.

**გიორგი.** ჩემთვის სულ ერთია. (გადიან. ვახტანგიც მიდის.)

**შალვა.** (შეაჩერებს.) თქვენ ხომ იქ საქმე არა გაქვთ ჯერჯერობით. ქ. თამარი ოთართან იქნება.

**ვახტანგი.** მერე რა გნებავთ?

**შალვა.** თქენი გართობა, სანამ თამარი არ განთავისუფლდება.

**ვახტანგი.** რად იწუხებთ თავს?! უფრო დაგიმადლებთ, თუ სცდებით აღარ დამენახოთ.

**შალვა.** მიზეზი? ნუ თუ ისეთი საზიზღარი ვარ?

**ვახტანგი.** მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ თამარის გვერდით არ მინდა დაგინახოთ.

**შალვა.** გიყვართ და ეჭიანობთ განა?

**ვახტანგი.** დიახ, მიყვარს: და ვერ მოვითმენ მის უკან, თქვენს აჩრდილივით სიარულს.

**შალვა.** მაშ ვეცდები გვერდით ვიარო!

**ვახტანგი.** თუ შეიძლებოდეს სიტყვას ბანზე ნუ აგდებთ. არ მსურს და ეს საკმარისი უნდა იყოს თქვენთვის. თქვენ კარგად იცით, რომ თამარი მიყვარს.

**შალვა.** ასეთი აზრის იყავით ყოველთვის?

**ვახტანგი.** მუდამ.

**შალვა.** ამ რამდენიმე წლის წინად, სტუდენტობის დროსაც პეტრეს ქალაქში?

**ვახტანგი.** (შეკრთება) რა გნებავთ ამ სიტყვებით სთქვათ?

**შალვა.** არაფერი: განა მაინც და მაინც აზრი უნდა ჰქონდეს ყველაფერს, რასაც ვიტყვი? (მიაჩერდებიან ერთმანეთს).

**ვახტანგი.** მე ვატყობ, თქვენ რაღაცას ეშმაკობთ. ფრთხილად ბ. შალვა: ის რაც მოხდა-მოხდა. მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა შეცდომა ყველას მოუვა, მით უმეტეს ახალგაზრდობაში. ახლა კი ხუმრობა არ შეიძლება.

**შალვა.** ზოგი ადამიანი ძლიერ გვიან შედის ასაკში. მაშინ თურმე თქვენ ხუმრობდით: ახლა მე მინდა ვიხუმრო. მეც, ახალგაზრდა ვარ და ამიტომ შეცდომა უნდა მეპატიოს.

**ვახტანგი.** მაინც რა გნებავთ?

**შალვა.** მე მნებავს სამაგიეროს გადახდა.

**ვახტანი.** ესე იგი?!

**შალვა.** დაგაცილოთ თამარს. თქვენც ხომ აგრე მოიქეცით?

**ვახტანგი.** გაბრაზებული) რა სთქვით? თქვენ გავიწყდებათ ვისთან გაქვთ საქმე!

**შალვა.** რად ბრაზობთ? სრულიად არ მავიწყდება, მაგრამ თქვენც გაიხსენეთ, რომ საქმე გაქვთ იმ ქალის საქმროსთან, რომელიც თქვენ გააუბედურეთ.

**ვახტანგი.** ეს ჩემთვის სულერთია: რაც იყო, დიდი ხანია გაეხვია დავიწყების ბურუსშიდა დარწმუნებული ვარ, ის ქალი უკვე შეეგუა ახალ ცხოვრებას. მართალია, ერთმანეთს დავაშორეთ, მაგრამ მიყვარდა მაშინ თქვენი საცოლე და ეს სრულიად საკმარისი საბუთია ჩემი მოქმედების გასამართლებლად. განა ვიცოდი მაშინ-რომ გავიყრებოდით?

**შალვა.** საზიზღარო! სინიდისი რას გეუბნება, რომ თავის მართლებასაც მოჰყევი? მაგრამ ახლა ამისათვის არ მცალია. მინდოდა თქვენთვის მეთქვა ჩემი აქ მოსვლის მიზეზი.

**ვახტანგი.** უმჯობესი იქნება შურისძიებას თავი გაანებოთ და აქედან გამეცალოთ. ყოველთვის არა ვარ ლმობიერი და თუ გავბრაზდი...

**შალვა.** ო-ო-ო! განა არ ვიცი? მაშინ თქვენ ყოველნაირი იარაღის ხმარება შეგიძლიანთ თავისუფლად: ლანძღვიდან დაწყებული, ჯაშუშობამდე.

**ვახტანგი.** (წაიწევს წინ.) ბევრს უბედობთ!

**შალვა.** არაფერია. (ორივე ერთმანეთს ზიზღით შესცქერიან.)

**ვახტანგი.** მიფრთხილდით ბ. შალვა! მე არ გეხუმრებით და მიფრთხილდით. უმჯობესი იქნება, რაც შეიძლება ჩქარა წახვიდოდეთ აქედან.

**გიორგი.** (ვახტანგს) ვახტანგ! თამარი მიდის.

**ვახტანგი.** ახლავე, მოვდივარ! (შალვას) მშვიდობით ბრძანდებოდეთ!.. იმედი მაქვს უკანასკნელად გხედავთ! (მიდის).

**შალვა.** რათა, რათა ბ. ვახტანგ! მე ქალაქში, კიდევ დიდხანს დავრჩები.

ფ ა რ დ ა.

(შემდეგი იქნება).

შოთა დადიანი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.